პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 102 (12918) | პარასკევი, 1 მაისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.



მოსკოვი. კრემლი.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

1964 წლის 21 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა წინადადებანი 1963 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილება

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1963 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები:

აჰმედ ბენ ბელას — საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა);

დოლორეს იბარურის — საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს (ესპანეთი);

ჰერლუფ ბიდსტრუპს — მხატვარს, საზოგადო მოღვაწეს (დანია).

მოსკოვი, 1964 წლის 21 აპრილი.

შრომა, მშვიდობა, მაისი

მოვიდა მაისი — გული გაზაფხულისა.

მოვიდა მაისი — მოფრენა მერცხლებისა, ღუღუნი მშვიდობის მტრედებისა, სიმრავლე აკვნებისა და ტკბილი იავნანა დედისა.

მოვიდა მაისი — ხე ფოთლებით შეიმოსა, ამბინდდა ჯეჯილები, ვარდ-ყვავილებით მოიქარგა არემარე, მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა და ადამიანებს გული გაუთბო.

მოვიდა მაისი მზითა და ალისფერი დროშებით.

მოვიდა მაისი...

„მივცეთ მხარი მხარს,
მივცეთ ხელი ხელს,
დედამიწაზე
იმედთა მფენი.
პირველ მაისის
აყვავებულ დღეს
მოწოდების სმა
გაისმის ჩვენი.
ვიმღეროთ კაცთა
დიდი მიზანი —
დიდი კავშირი
შრომის, მშვიდობის...
ვიმღეროთ: ვარდნი
მაისისანი —
სიყვარულისა
და ერთა ძმობის“.

მოვიდა მაისი... დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში შრომითა თუ ბრძოლით სახელგანთქმული ადამიანები, სწავლითა და აღზრდით ქებული ახალგაზრდობა გამოეფინება ქუჩებში, მოედნებზე, გზებსა და ბაღებში, გაიმართება ტრადიციული დემონსტრაციები... მოწოდებები, პლაკატები და ტრანსპარანტები გვაუწყებენ დიად გამარჯვებებს კულტურისა და მეურნეობის ყველა ფრონტზე.

პლაკატები გვაუწყებენ: თუ რატომ აიჭრა საბჭოთა ადამიანი ყველაზე ადრე ცაში და დაიპყრო კოსმოსი. რა ძალამ გამოაწრთო გმირი კოსმონავტები — გაგარინი, ტიტოვი, ნიკოლაევი, პოპოვიჩი, ბიკოვსკი, ტერეშკოვა.

ტრანსპარანტები მოგვიყვებიან: რატომ შენდება ასობით ახალი გიგანტები, რატომ მოჰკიდა პარტიამ ასე მტკიცედ ხელი სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას, რატომ შენდება ამდენი ბინები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კურორტები, მაღაზიები, გზები და მაგისტრალები.

პლაკატები გვაუწყებენ, როგორ იზრდება საბჭოთა ადამიანი, რა მწვერვალებს მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ, სახალხო განათლებამ, მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ.

გვაუწყებენ, რა ლაღი და ბედნიერია ჩვენი აწმყო და რა ძვირფასი და საინტერესო იქნება ჩვენი მომავალი.

პლაკატები, ტრანსპარანტები მოგვიწოდებენ:

გაუმარჯოს პირველ მაისს — შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

ასე შემოდის ჩვენთან მაისი, ასე ანათებს მაისის მზე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში.

მაგრამ... დედამიწის დასავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ თარეშობს ზამთრის სუსხი, ცაზე ირევა შავი ღრუბლები. იქ მაისის ვარდ-ყვავილებს სისხლით ღებავენ, ადამიანი ადამიანისათვის მგელია, იმპერიალისტები ატომის ყუმბარებს ეთამაშებიან, ოქრო ბატონობს სინდისზე, პატიოსნებასა და მორალზე.

ხალხთა შორის უთანასწორობას, უკანონობასა და სიბნელეს ებრძვის პირველი მაისი. მის დროშას აწერია: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დღეს მთელ მსოფლიოში ხალხთა სხვადასხვა ტიებს, რომლებიც საქმით იბრძვიან ომის წინააღმდეგ, იბრძვიან საყოველთაო მშვიდობისათვის.

გაუმარჯოს შრომას! მსოფლიოს ყველა მშრომელი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ისე, როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ყველგან გაიმარჯვებს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა, რომელიც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

გაუმარჯოს თავისუფლებას! მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი თავისუფლებაში ხედავს ხალხთა უმაღლეს ბედნიერებას, პროგრესული კაცობრიობის დიად იდეალს. თავისუფლებას ადამიანისათვის მოაქვს კაპიტალისგან შრომის დახსნა, ამყარებს ნამდვილ დემოკრატიას, ამსხვრევს საზოგადოებრივსა და პიროვნულს შორის წინააღმდეგობას.

გაუმარჯოს თანასწორობას! მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანი იბრძვის საყოველთაო თანასწორობისათვის. მათ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით იციან სოციალური უთანასწორობის სუსხი და სიმწვავე, რომელიც კაპიტალისტური სისტემის პირმშო და მემკვიდრეა.

გაუმარჯოს ძმობას! საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მშრომელები დაინტერესებული არიან იმით, რომ იცხოვრონ მშვიდად და მეგობრულად, რომ ადამიანებს შორის განმტკიცდეს ძმობა, რომელშიც ჩაქსოვილია კაცობრიობის ყველა სილამაზე.

გაუმარჯოს ბედნიერებას! მსოფლიოს მშრომელი ხალხი მიისწრაფვის საყოველთაო სიკეთისა და ბედნიერებისაკენ. მათ იციან, რომ ამ ბედნიერების მისაღწევად არსებობს ერთადერთი სწორი გზა, გზა კომუნიზმისა, რომელიც გაშუქებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი მზის ბრწყინვალეებით.

ამიტომ აწერია მაისის დროშას: მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

დიდება ამ დროშას, დიდება პირველ მაისს!

გაუმარჯოს 1 მაისს!

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1964 წლის 1 მაისი | № 102 | ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთობისა და ძმობის დღეს.

ჩვენი დიდი სამშობლო ამ დღესასწაულს თავისი ძლავრი ძალების სრული გაფურჩქვნით ეგებება. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული შრომითი წარმატებით ხორციელდება კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა. ყველა საბჭოთა ადამიანი ჩაება აქტიურ ბრძოლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, რომელთა მიზანია ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება და სოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია. პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონეს.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით საბჭოთა კავშირთან ერთად მტკიცე ნაბიჯით მიდიან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები. იზრდება და მტკიცდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები.

კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მონოლითური ერთიანობის განმტკიცებისათვის.

გამოხატავს რა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, კომუნისტური პარტია თანხმდებოდა ერთად ამ სიტყვებს წარმოთქვამენ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები. ისინი იმედით შეჰყურებენ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც საქმით იბრძვიან ომის წინააღმდეგ, იბრძვიან საყოველთაო მშვიდობისათვის.

გაუმარჯოს შრომას! მსოფლიოს ყველა მშრომელი ადამიანი დარწმუნებულია, რომ ისე, როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ყველგან გაიმარჯვებს თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა, რომელიც გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

გაუმარჯოს თავისუფლებას! მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი თავისუფლებაში ხედავს ხალხთა უმაღლეს ბედნიერებას, პროგრესული კაცობრიობის დიად იდეალს. თავისუფლებას ადამიანისათვის მოაქვს კაპიტალისგან შრომის დახსნა, ამყარებს ნამდვილ დემოკრატიას, ამსხვრევს საზოგადოებრივსა და პიროვნულს შორის წინააღმდეგობას.

გაუმარჯოს თანასწორობას! მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანი იბრძვის საყოველთაო თანასწორობისათვის. მათ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებით იციან სოციალური უთანასწორობის სუსხი და სიმწვავე, რომელიც კაპიტალისტური სისტემის პირმშო და მემკვიდრეა.

გაუმარჯოს ძმობას! საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მშრომელები დაინტერესებული არიან იმით, რომ იცხოვრონ მშვიდად და მეგობრულად, რომ ადამიანებს შორის განმტკიცდეს ძმობა, რომელშიც ჩაქსოვილია კაცობრიობის ყველა სილამაზე.

გაუმარჯოს ბედნიერებას! მსოფლიოს მშრომელი ხალხი მიისწრაფვის საყოველთაო სიკეთისა და ბედნიერებისაკენ. მათ იციან, რომ ამ ბედნიერების მისაღწევად არსებობს ერთადერთი სწორი გზა, გზა კომუნიზმისა, რომელიც

განვავითაროთ ურთიერთობა და თანამშრომლობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის პასუხი იაპონიის კიოდო ცუსინის სააგენტოს გენერალური დირექტორის კიესი ივამოტოს კითხვებზე

კითხვა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე იაპონიამ მიაღწია სწრაფ პროგრესს ეკონომიკისა და მრეწველობის დარგში, ამავე დროს მისი პოზიცია მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთობაში აგრეთვე გაუმჯობესდა პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მინდა გთხოვოთ, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ წამყვან მოღვაწეს, გვიხსნათ თქვენი ახლანდელი აზრი იაპონიის შესახებ.

როგორ ფიქრობთ, თქვენი წარმოდგენა იაპონიაზე შეიცვალა თუ არა უკანასკნელი 5-10 წლის მანძილზე? და თუ შეიცვალა რითი გამოიხატება ეს?

პასუხი: ყველა აღნიშნავს იაპონიის ეკონომიურ პროგრესს. თქვენმა ქვეყანამ ნამდვილად დიდ წარმატებებს მიაღწია მრეწველობის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა პირადათ დავრწმუნებულიყავი ამაში, როდესაც 1961 წლის ზაფხულში ვიზიტად ვიყავი იაპონიაში. გულახდილად გეტყვით, რომ სამრეწველო მშენებლობის გაქანებამ, წარმოების მაღალმა დონემ და, განსაკუთრებით, იაპონელების გამრჯელობამ და ნიჭმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ამ მხრივ იაპონიაში ჩასვლა, უდავოდ დამეხმარა გამეცოცხლებინა და გამეფართოებინა წარმოდგენა თქვენს ქვეყანაზე, გავმსჭვალულიყავი განსაკუთრებული პატივისცემით თქვენი ხალხისადმი — დიდი მშრომელისა და უაღრესად სტუმართმოყვარე მასპინძლისადმი.

უკანასკნელი წლების მანძილზე იაპონია შორს წავიდა წინ და ამჟამად მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, და განვითარების ტემპით, ზოგიერთი რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლით მან ამ ქვეყნებს გაუსწრო.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ, როცა რწმუნდები რამდენად განმტკიცდა იაპონია, ძნელია ხოლმე ახსნა მისი საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მხარე. მაგრამ, მავალითად, რა ამბავი მოხდა, როცა იაპონიის ფირმებმა საბჭოთა ნავთობი შეისყიდეს, საბჭოთა კავშირისათვის მბლების მიწოდების ამბავი, რაღაც ანაქრონიზმივით გვეჩვენება ის ფაქტი, რომ იაპონია ჯერ კიდევ ემორჩილება გარე ზეგავლენას საკუთარი ინტერესების საზიანოდ. ეფიქრობთ, რომ საერთაშორისო საქმეებშიც იაპონიას შეუძლია შესრულოს უფრო თვალსაჩინო და დამოუკიდებელი როლი, რომელიც უფრო შეესაბამება მის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში, მისი ხალხის ღირსებებს, რომელიც ესწრაფვის მშვიდობას თავის მეზობლებთან, ისე, როგორც სხვა ხალხებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენი ქვეყნის იმ საზოგადებრივი ძალების აზრს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იაპონიამ უფრო დამოუკიდებელი პოზიციებიდან უნდა დაუჭიროს მხარი მშვიდობისმოყვარული სახელმწიფოების წინადადებებს საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ მთავარ საკითხებში, როგორიცაა საყოველთაო და სრული განიარაღება, ატომური იარაღის აკრძალვა და მოსპობა, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაცია, საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღმოფხვრა. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დროა იაპონია განთავისუფლდეს უცხოეთის მეურვეობისაგან, გაწმინდოს თავისი მიწა-წყალი უცხოეთის სამხედრო ბაზებისაგან და ამგვარად შექმნას უკეთესი პირობები თავის მეზობლებთან კეთილი ურთიერთობის განვითარებისათვის.

კითხვა: ჩვენ დიდად ვაფასებთ საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ მეცადინეობას მშვიდობის დასამყარებლად მთელ

(დასასრული მე-3 გვ.).

გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ქარხნის გაზაფხული

ეს დღე ქარხნის მთელ კოლექტივს გუშინდელივით ახსოვს. ახსოვთ და არასოდეს დავიწყებთან, როგორ გამოსრიალდა ეს გოლიათი მანქანა ახლის ბრწყინვალებით, ლიანდაგების უსასრულო პარალელს გახედა და გუგუნით გაუყვა გზას, რათა თავისი მაგარი მკერდი რუსეთის ფოლადის მაგისტრალზე გამოეცადა.

ეს მანქანა კი არა, მთელი ქარხანაა, ათასკვარი მექანიზმებით დატვირთული, დამჯერე, დაუღლელი და ძლიერი. ათეულ-ათასობით ტონა ტვირთს მოიკიდებს, ასეულ ათასობით კილომეტრს გაიარ-ლის...

ამ დღიდან მეშვიდე მაისობას ზეიმობენ ქართველი ელმავალმშენებლები — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მშრომელები.

მათ ცხოვრებაში იყო მეორე დიდმნიშვნელოვანი დღეც. გაზაფხულის ამ ყველაზე მშვენიერ თვეში — 1961 წლის 13 მაისს ელმავალმშენებლებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. მან ამ გოლიათ მანქანას დიდი შეფასება მისცა. **„ქართველ ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში გაკეთებული ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალებზე“.**

ამ დღიდან ქართველი ელმავალმშენებლები გაზაფხულის ამ დიდ დღესასწაულს ყოველთვის ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ.

სამაისო ზეიმის მიჯნაზე ელმავალმშენებლებს ვესტუმრეთ. გვინდოდა გაგვეგო, რა ახალ საჩუქრებს უძღვნიან პირველ მაისს.

პარტიული კომიტეტის მდივანი **კონსტანტინე გურული** ჩვენს კითხვას არ დალოდებია. მოსალმების შემდეგ, თითქოს განზრახვას მიგვიხვდაო, თვითონვე დაიწყო:

— თქვენ ალბათ გაინტერესებთ, როგორ დავამთავრეთ აპრილი, რით ვეგებებით პირველ მაისს. მთავარსა და გადამწყვეტს მოგახსენებთ.

— საწარმოს კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულების ინიციატორად გამოვიდა და ვალდებულება აკისრა 1963 წლისათვის აითვისოს შვიდწლედით გათვალისწინებული საპროექტო სმძლავრენი. ელმავალმშენებლებმა სიტყვა საქმედ აქციეს. წელს უკვე მივაღწიეთ შვიდწლედით გათვალისწინებულ წარმოების სიმძლავრეს და ელმავალმშენებლობის დარგში უკან მოვიტოვეთ ისეთი კაპიტალისტური ქვეყანა, როგორიც არის საფრანგეთი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ განვლილ პერიოდში ჩვენმა კოლექტივმა არა მარტო აითვისა სერიულ წარმოებაში მყოფი რვაღერძიანი ელმავალი, არამედ გამოუშვა საცდელი ახალი ქართული ელმავლებიც, რომლებმაც რუსეთისა და საქართველოს ფოლადის მაგისტრალებზე საწარმო გამოცდა ბრწყინვალედ გაიარეს და მიღებულ იქნენ წარმოებაში მასობრივად დანერგვისათვის.

— წელს რამდენი უნდა გამოუშვათ ამ ტიპის ელმავალი?

— გათვალისწინებულია რამდენიმე ათეული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მივიღებთ კოოპერირების წესით სხვადასხვა მექანიკურ მოწყობილობას. წარმოების მხრივ დაბრკოლება არ იქნება.

— ჩვენზე დამოუკიდებელი მიზეზები თუ ხელს არ შეგიშლის, წელს უნდა გამოუშვათ საცდელი სამგზავრო ელმავალი, — საუბარში ჩაერია საქართველო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გლუნჩაძე.**

ქარხნის კოლექტივმა თავისი საქმიანობა დაიწყო საწარმოო კორპუსების მშენებლობის პარალელურად. ქარხანას არ ჰყავდა სათანადოდ მომზადებული კადრები. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ძნელი იყო მუშაობა. ყოველ ახალ საქმეს თან სდევდა დიდი სიძნელეები. მაგრამ კოლექტივის თავდადებულმა და შემოქმედებითმა შრომამ თავისი გაიტანა. წარმოება დაარსების დღიდან რენტაბელურია და სახელმწიფო დოტაცია არასოდეს დასჭირვებია. პირიქით, სამშობლოს მოგებას აძლევს.

წარმოებაში ყოველი მოწინავე გამოცდილება, ისევე როგორც გაპატივებულ მოწაფე საღი ნერგი, ადვილად იდგამს ფესვს და სასურველ ნაყოფსაც იძლევა. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი ინიციატივა ამ წარმოებიდან მოდის და მას რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები იტაცებენ ხოლმე.

როცა რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისა და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდის შექმნისათვის, აქაც ელმავალმშენებლებმა თავისი სიტყვა თქვეს.

ეს იყო 1960 წლის მაისში. თბილისს ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კლუბში თავი მოიყარეს საამქროთა უფროსებმა, ოსტატებმა, წარმოების მოწინავე ადამიანებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა.

— საკითხა მოვიფიქროთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქარხნის რეზერვები, დავზოგოთ მასალები, ვიმუშაოთ უფრო გონივრულად, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ზეგეგმითი დაგროვება და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ რესპუბლიკის ეკონომიის ფონდის გაზრდის საქმეში.—მიმართა მომხსენებელმა დარბაზში დამსწრეებს.

— რომ ვიკისროთ და ვერ შევასრულოთ? — დარბაზში გაიგონებდით ჩურჩულს.

— სარისკო საქმეა, ძმაო!..

ყველე თავშეკავება...

მაგრამ აი ტრიბუნისაკენ გაემართა საშუალო ტანის შავგვრემანი კაცი.

— ვასილ პაპინაშვილია, ჩვენი ვასილი.

ვასო ლაპარაკობდა ნელა, აუღელვებლად, პასუხისმგებლობით. დღეს თითქოს გარდატეხა მოხდა მასში. წინათ ორ წინადადებას ერთმანეთს რომ ვერ მოაბამდა, ახლა გამართულად, მიმზიდველად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

... ბრიგადაში, რომელსაც მე ველმძღვანელობ, დავზოგავთ ნედლეულსა და მასალებს, წარმოებაში დავნერგავთ რაციონალიზატორულ წინადადებებს, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას და ამ გზით დავზოგავთ იმდენ თანხას, რაც გადაამეტებს მთელი ბრიგადის გამოშუშავებას, ე. ი. ხელფასს ჩვენივე დანაზოგით მივიღებთ.

... კრების შემდეგ ვასილს ერთი აზრი აეკვიატა: ხომ არ გადავაკარე? ბევრის უფლება ხომ არ მივეცი ჩემს თავს? თვალწინ წარმოუდგა საამქრო, მთელი კოლექტივი. გონების თვალით ერთხელ კიდევე აწონ-დაწონა ნაკისრი ვალდებულებანი.

— ცხადია, ასეთი ვალდებულების შესრულება პატარა საქმე როდია, მაგრამ თუ კაცმა მოინდომა, მთას დაძრავს, ხალხის სამსახურში ჩააყენებს წარმოების ყველა რეზერვს,—თითქოს თავი დაიმშვიდა ზეინკალმა.—კიდევ ერთხელ უნდა მოვესაუბრო ბრიგადის წევრებს, ერთად გადავწყვიტოთ—ეს ხომ კომუნიზმის პრინციპია—ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!

ამ ვალდებულების შესრულებაში ყველას ეჭვი ეპარებოდა. თვით ვასილ პაპინაშვილს და ბრიგადის წევრებს, საღამ ჩანაფიქრს ხორცს შეასხამდნენ, მშვიდად არ სძინებიათ.

მეოთხე მაისი დადგა მას შემდეგ, რაც ვალდებულება აკისრეს. საამქროში შევედით, ვასილმა გამარჯვებულმა ამოგვეხედა და გვითხოა:

— პირობის დარღვევა ელმავალმშენებლებს არა გვჩვევია. ამჯერადაც საქმე კარგად მიდის. სამაისოდ შევაჯამებინეთ შედეგები და გამოირკვა, რომ განვლილ პერიოდში დაზოგილმა თანხამ 1.000 მანეთით გადააჭარბა ბრიგადის მიერ გამომუშავებულ ხელფასს. მაშასადამე, მეოთხე წელია ხელფასს დანაზოგიდან ვიღებთ.

— მიმდევრები თუ გყავთ ამ საქმეში?—შეეკითხეთ ვასილს.

— პირველ წელს ჩემი ვალდებულების შესრულებაში ყველას ექვი ეპარებოდა. ახლა ყველა დარწმუნდა, რომ, თუ კაცი მოინდომებს, ყველაფერს დაძლევს. ჩვენს ქარხანაში ახლა ზოგიერთმა ბრიგადამ კიდევაც გვაჯობა. ხელფასს დაზოგილი თანხებიდან იღებენ გ. აბიაშვილის, გ. გაგნიძის, მ. ხატიაშვილის და ლ. ჯიბლაძის ბრიგადები.

ბევრი მიმდევარი გამოგვიჩნდა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში. ჩვენს მაგალითს წაბაძეს ქუთაისელმა მეფეხსაცმლეებმა, ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა, თბილისელმა მკერავებმა და ფეიქრებმა.

— ახლა რას ფიქრობთ?—შეეკითხეთ ვასოს.

— წარმოებაში ბევრს ფიქრობენ დიდი ქიმიის გამოყენებაზე. ამის შესახებ მოწოდებით მიმართეთ რესპუბლიკის საწარმოებს.

ქიმიის დიდი სიკეთე უკვე აშკარად ჩანს წარმოებაში. ახლა აქ კოლექტორებს პლასტმასისაგან ამზადებენ, რითაც დიდძალი ლითონი იზოგება. მარტო მართვის გენერატორებზე პლასტმასის კოლექტორების გამოყენება წლიურად 30 ათას მანეთ ეკონომიას აძლევს წარმოებას.

ქარხანაში ბირველი მაისის წინადღე დამთავრდა. დადუმდნენ მანქანები. საამქროს ალაყაფის კართან ოგიონი ელმავალი მზად იყო თავისი გოლიათური სიძლიერის გამოსაცდელად...

ზ. ჯაბასპიშვილი.

ხალხი უმღერის

საზეიმოდ თქმული

ალისფერ დროშებს
მოუქარგავთ ასლა ქუჩები,
მოდიან მწყობრად,
ღიმილით და ტკბილი ჰანგებით.
მტრედს აფრენს ნორჩი,
ჯერ მაისის ზეიმს უჩვევი,
ტრიბუნებიდან
ხელს უქნევენ ამხანაგები.

ამირან ბოკელავაძე,

თბილისი, სტამბის მუშა.

მიყვარს...

მიყვარს მაისი, სიცოცხლე,
მდინარის ზათქი, გრიალი.
რიყრაუზე ხოხბის ყივილი,
აღმართზე ურმის ჭრიალი,
შრომით ნაცვეთი პერანგი,
ჩარხის სულ წალმა ტრიალი.
გულს მითბობს ვარდ-ყვავილობა,
მშობლიურ მიწის ტრფიალი.

შალვა კვირიკაშვილი,

სიღნაღი, სოფელი საქობო.

დროშების შრიალით

კომუნიზმს ვაშენებთ! —
მღერიან ხალისით.
დროშების შრიალით
გვიღიმის მაისი.

დანიელ ხახიაშვილი,

ონი.

დიდი გული

რეპორტაჟი დედაქალაქიდან

ცისკენ ატყორცნილა მოდერნის სტილით ნაგები ოტელი „მინსკი“. მეთერთმეტე სართულიდან მოჩანს ძველი არბატი, რომელიც ხელახლა შენდება... გორკის ქუჩიდან მოსკოვი მოჩანს. სამშენებლო ამწეებში ჩამჯდარა პლანეტის გიგანტი ქალაქი და ცისკენ მიიწევს. ჩვენ მოგითხრობთ მოსკოვის მზოლოდ ერთ მთავარ ქუჩაზე. იგი დიდი გორკის სახელს ატარებს.

...აფიშები იუწყებიან, რომ დიდ თეატრში და კრემლის ყრილობათა სასახლეში პრემიერაა. ვანო მურადელის ოპერა „ოქტომბერი“. ეს არის პირველი ოპერა, რომელშიც დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახეა მუსიკალურად გამოკვეთილი. ილიჩის როლს ასრულებს ცნობილი მომღერალი არტურ ეიზენი.

დღეს ყველა გზა მოსკოვში მიდის. აქ ჯვარედინდება ყველა მერიდიანი, ყველა გზა, რომელიც მიდის ვარსკვლავეთში თუ ოკეანეს გაღმა. „ინტერსატის“ რეკლამებთან პარიზისა და ნიუ-იორკის სანახებს ჩრდილავს საქართველოს მთისა და ბარის ლამაზი პეიზაჟები. „ეწვიეთ საქართველოს“, „ნახეთ თბილისი“ — აწერია ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად ფერად სურათოვან რეკლამებს...

აპრილის ცისფერ ქარებს მინდვრის ტულიპებისა და ენძელების სურნელი მოაქვთ დედაქალაქში... ნეონის შუქრეკლამებით გაჩირაღდნებულ კოსმოსში ბოტელ „ნაციონალთან“ უცხოელები ყიდულობენ ამერიკელი მწერლის მიტჩელ უილსონის რომანს „შეხვედრას შორეულ მერიდიანზე“. აქ ქართველ საბჭოთა ფიზიკოსებსაც ეძღვნება რამდენიმე თავი. ადრე საქართველოში ეთნოგრაფიული ეგზოტიკა იტაცებდა უცხოელს. რამდენად სასიამოვნოა, რომ უცებ წაწყდები დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ნთელი ჭაღარით მოსილ მეცნიერს, ქართული მათემატიკური სკოლის ქურუმს ნიკოლოზ მუსხელიშვილს... მისი შრომები მოჩანს მაღაზია „აკადემიური წიგნის“ ვიტრინებში... ადრე მხოლოდ ქართული ეპოსით, რუსთაველის შაირით თუ იცნობდნენ საქართველოს...

კაფე „იალბუზში“ სვამენ კახურ კოქტეილს. ქართული ვაზის მადლით ტკბებიან დედაქალაქის სტუმრები.

ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს და არქიტექტურული თვალსაზრისით უთანამედროვეს კინოთეატრში „როსიაში“ მიდის ქართული რეჟისორის გ. დანელიას ფილმი „მე მივაბიჯებ მოსკოვში“. ეს არის კინოპოემა მოსკოვზე. დედაქალაქი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით — აი ვინ არის ამ ფილმის მთავარი გმირი. ფილმის ერთ-ერთი მოქმედი პირივით მივაბიჯებ მოსკოვის მთავარ ქუჩაზე. თვალს ახარებს ირგვლივ ყველაფერი. საბჭოთა კავშირის მთავარი ქუჩა, რომელიც მარქსის პროსპექტით უერთდება წითელ მოედანს, დიდ მდინარეს მგავს. ამ ილუზიას ქმნის არა მარტო ხალხისა და ტრანსპორტის ნაკადები. აქ ხედავ დროის დინების სიჩქარეს. აქ წუთი წუთში არ ეტევა. ყური დაუგდეთ ახალი ამბების საagენტოს ტელეტაიპებს და იგრძნობთ პლანეტის მაჯისცემას... ახალი ამბების საagენტოს მყუდრო ოთახში მეგობარი ეურნალისტი წერს სტატიას მეცნიერებზე, რომლებიც ცდილობენ ატომურ საწვავად აქციონ ჩვეულებრივი წყალი, H_2O. დიახ, ეს არის დროის ბილული ნიშანი. დიახ, ეს არის მე-20 საუკუნის 60-ინა წლების საბჭოთა საქართველოს ცხოვრების დამახასიათებელი ნიუანსი.

...გავიაროთ გორკის ქუჩაზე. ფიქვების ქვეშ ყიდიან მსოფლიოს ეურნალგაზეთებს. „ბერლინერ ცაიტუნგი“. ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, უნტერ დენ ლინდენზეც კითხულობენ ამ ნომერს. შეხედეთ, ეს არის სტატია გორკის ქუჩაზე მდებარე ექსტრავაგანტურ ოკრომშენდლობის მაღაზიაზე, რომელსაც ლირიკული სახელი „ბერიოზკა“ ჰქვია. არა მარტო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, ოკრომშენდლთა „ბერიოზკამაც“ მთელ კონტინენტზე გაითქვა სახელი. აქ ვაჭრობენ საზღვარგარეთული ვალუტითაც კი. შევიდეთ მაღაზიაში. აქ ნახავთ ოკრომშენდლობის რუს თუ კავკასიელ ოსტატთა ნამუშევრებს.

— აგერ ქართული ყანწები, ქართველ ოკრომშენდლთა ნახელავი... ქართული სუვენირი ჯიბეს უცარიელებს უცხოელ დიპლომატებს თუ ტურისტებს. „ბერლინერ ცაიტუნგი“ ქებით იხსენიებს ოკრომშენდლობის კავკასიელ ოსტატებსაც.

თეატრალურ აფიშებთან ხალხმრავლობაა გორკის ქუჩაზე, იქ, სადაც ჩაფიქრებული პუშკინი დგას ხელთუქმნელ კვარცხლბეკზე. ძალაუნებურად გესმის საუბარი.

— დღეს ხოზეს პარტიას მღერის ანჯაფარიძე.

— ბრწყინვალე ტენორია...

სხვა აფიშები გორკის ქუჩაზე სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიურ თეატრში გიწვევენ ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესაზე „მე ვხედავ მზეს“.

იქ, სადაც იური დოლგორუკის ძეგლი დგას, ორიოდე ნაბიჯზეა წიგნის უნივერსალური მაღაზია „მეგობრობა“. აქ სოციალიზმის ქვეყნების ლიტერატურა იყიდება მსოფლიოს 15 ენაზე. ყოველ თაროზე წაწყდებით წიგნს, რომელიც მოუთხრობს რუსეთზე, უკრაინაზე, საბჭოთა საქართველოზე. აგერ პრაღაში ჩეხურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე გამოსული ფერადი ფოტოგალერია, რომელშიც „კავკასიის მარგალიტის“ სახელწოდებით 30-მდე ფერადი ფოტო მოგვითხრობს ჩვენს რესპუბლიკაზე. აგერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული ენციკლოპედიური ერთტომეული „მაიერ ტაშენ ლექსიკონი“, სადაც შეგიძლიათ წაიკითხოთ სტატიები „საქართველოს სსრ“, „ქართული ენა და ლიტერატურა“, „რუსთაველი“ და ა. შ.

გორკის ქუჩაზე როგორ ჩაუვლით ისე ვ. მაიაკოვსკის ძეგლს, რომ საქართველო არ გაგახსენდეთ. „შენი ვალი მაქვს, ბადდადის ზეცავ“... თვითონ გორკი, სოციალისტური რეალიზმის მამამთავარი, საქართველოში დაიბადა როგორც მწერალი. აგერ, ალექსანდრე პუშკინი, რომელიც ქართველებს ისევე გვიყვარს, როგორც ჩვენი ერი [illegible] ასე ჩაიკვლის თქვენ [illegible] დიდი გალერია, რომელსაც „შეხვედრობის ქვაში“ გამოკვეთილ დიდ საგალობელს მგავს.

აგერ ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი. იგი მოწმეა ქართველი მსახიობთა ტრიუმფალური გამოსვლებისა დიდი გემოვნების მქონე მოსკოველ მაყურებლის წინაშე. ამ დღეებში აფიშები იუწყებიან, რომ აქ იმართება ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორის ო. თაქთაქიშვილის საავტორო საღამო.

ბრწყინავენ რეკლამები.

გორკის ქუჩაზე მინიატურულად თითქმის ყოველმხრივ არის წარმოდგენილი საბჭოთა საქართველო. ქართული კულინარია, რესტორანი „არაგვი“, ქართული ბაკალეა, გასტრონომი „საქართველო“.

ყოველ ნაბიჯზე ხედავ მეგობრობის გამოვლინების უთვალავ აქტს.

ქუჩები ერთმანეთისაკენ მიისწრაფვიან, მაგრამ მოსკოვში ყველა ქუჩა, ასე გგონია, გორკის ქუჩაზე მიისწრაფვის. გორკის პროსპექტს სამი ქუჩა ჭრის, რომლებიც საქართველოს სახელს ატარებენ, აქეთ ისწრაფვიან რუსთაველისა და ფალიაშვილის ქუჩები, საქართველოს დიდი და მცირე ქუჩა. და ყველგან ფეთქავს დღევანდელობის მაცოცხლებელი ძალა, ყველა ქუჩაზე მობრძანდება გაზაფხული და კეთილი ხმაურით სავდომის დროა.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ახალგაზრდა მოწინავე მუშები (მარცხნიდან მარჯვნივ) რ. დოლიძე, ნ. შერეზადაშვილი, ზ. ლამბაშიძე, გ. მერაბიშვილი, ა. ქარსელაძე, მ. ლელინა, ი. ცაცანაშვილი, ვ. ქიტაიშვილი და ე. აბგარიანი, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ამ ოკლე ცნობები

● სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალედ მიულოცა თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება კომპლექსური გვირაბგაყვანის ბრიგადის კოლექტივს. ეს ბრიგადა მუშობს კუზბასის სახალხო მეურნეობის საბჭოს პროკოპიევსკის ქვანახშირის ტრესტის № 3-3-ბის შახტში.

● სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვ. ულბრიხტი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა საბჭოთა კავშირში მომდინარე წლის მაისის ბოლოს.

● 1964 წლის 23 აპრილს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

გამონაკლისის წესით, საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად, როგორც ეს სკკპ წესდებით არის გათვალისწინებული, მიღებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად სოციალისტური შრომის გმირი, მთავარი კონსტრუქტორი, განუწყვეტელი გლინვის მეთოდით რკინა-ბეტონის ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური დამუშავების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ამხ. ნ. ი. კოზლოვი.

დავალოს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს მისცეს ამხ. ნ. ი. კოზლოვს პარტიული ბილეთი.

სამუშაოს ღიმილი

ვარდ-ყვავილებით, დროშების შრიალით მოდის ქვეყნად გაზაფხულის მშვენიერი თვე — მაისი. ვის არ აამღერებს სილამაზისა და სიცოცხლის, ბუნების აყვავების, ადამიანთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცების საზეიმო თარიღი, ვარდობისთვის პირველი დღე — პირველი მაისი.

გაზაფხულის დიდი დღეობაა. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მრავალი ლექსი მიიღო ხალხთა სოლიდარობის დღესასწაულთან დაკავშირებით. მკითხველს ვთავაზობთ სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულ უცნობ ავტორთა გულწრფელ სტრიქონებს. აი ისინიც:

ღიმილით მოდი, ლაღო მაისო,
შენ გაახარე ჩიტი ნიბლიაც.
გული სიამით ისე აივსო,
რომ არ ვიმღერო, არ შემიძლია.

ირაკლი იაკობიძე.

გაზაფხულია, მზე მიწას ჰაოცნის,
შეჰფარფატებენ ბუჩქებს ბეღლები.
მინდა სიმღერა ტკბილი სიცოცხლის,
ვიმღერებ, ვიდრე დავიფერფლები.

გიორგი იაშვილი.

მოდიან ახალი ცხოვრების მშენელები,
რა მოაქვთ?
დიადი სამშობლოს დიდება.
მამულო,
ყოველდღე იზრდები, შენდები.
შენს ლამაზ გულმკერდზე
მაისი ბრწყინდება.

დავით ნავროზაშვილი.

ზეიმი არის, მაისით ვხარობთ,
ჩვენი ხმა ზღვების იქით გადადის.
დღეს მოსკოვს უსმენს მთელი
სამყარო,
კრემლთან გუგუნით მიდის პარადი.

ვალიკო ხუციშვილი.

მაისს თან მოჰყვა ზღვა სიხარული,
ვარდ-ყვავილებით ჭიჭა აიმსო.
გულს გაძრობია დარდი ფარული,
ლხინით მალალებ, ჩემო მაისო!

შოთა ანანიძე.

ჩემო პატარა კალამო,
არ გარგებს უქმად დებაო,
მაისზე ლექსი დაწერე,
ის უფრო გამოდგებაო.
ალალი გულით ნაწერი
ვარდივით აყვავდებაო.
გამჩეკე მარჯვენის ნათესი
ბარაქად დახვავდებაო.

შაარო მეზურნიშვილი.

ჯარისკაცი ვარ, მშვიდობას ვიცავ,
მაისმა ლეწინთ შემასხა ფრთები.
შენი ტრფიალით, მშობელო მიწავ,
ამე-დარიის მხარეშიც ვთბები.

გიორგი ხმალაძე.

პირველ მაისს, მშვიდობას, სამშობლოს, პარტიას უძღვნიან თავიანთ ლექსებს ლ. ბერიძე, ვ. ნარსავიძე, შ. ადამია, ე. არღვლიანი, დ. აფხაზავა, ე. ბალახაძე, რ. ბოჩიშვილი, გ. ბიჭიკაშვილი, შ. დარსაველიძე, გ. გურჩიანი, მ. გამეზარდაშვილი, გ. გვაზავა, ლ. გეგეჭკორი, გ. მემარნიშვილი, გ. მარცვალიშვილი, ლ. ვარდანაშვილი, მ. ზაუტაშვილი, ჯ. ისმაილოვი, გ. კირცხალია, ა. კერესელიძე, ნ. კლდიაშვილი, კ. კვასტიანი, ა. კაპანაძე, რ. ვარაზაშვილი, გ. ლაბუჩიძე, ქ. ლომიძე, ი. ლიაძე, ზ. ნადირაძე, ვ. სალლიანი, ვ. სვანიშვილი, გ. შოთაძე, მ. ჩხეიძე, ხ. ხათაშვილი, ე. ხუტეშვილი, ლ. ჩოხელი, ჯ. ჯოხაძე, ლ. ქარქიშვილი, თ. ქურდიანი, ნ. ჯანდიერი, ი. ფიაღლეშვილი, დ. ყაჯრიშვილი, ი. ცანავა და ბევრი სხვა.



გეიმობს „პირველი მაისი“

ვიდრე ვიქაცმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცა, მთა კუთვნილი ნაკვეთებიდან მიჯნები ამოჰყარეს. ერთ გუთნეულზე მეტი გამწევი ძალა, თოხი და ბარიც არ ჰქონდათ საკმარისი, მაგრამ გული არ გაუტეხიათ. სიღარიბეს საერთო ძალღონით შეუტიეს. დილიდან გვიან ღამამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. სიბეჯითემ თავისი გაიტანა, მათს ბეღლებს ბარაქა დაედო.

კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პირველ წევრებს **ალექსი აბრამიშვილს, ზაქარია ბარძიმაშვილს, ივანე ცოციაშვილს, ბუღდან და თათო თათულაშვილებს, გიორგი პეტრუზაშვილს** და **კულა აივაზაშვილს** მალე სხვებიც შეუერთდნენ. სოფლის წურბელებს კოლმეურნეობის წინსვლა ჭკუაში არ მოსდიოდათ. სიტყვით რომ ვერაფერს გახდნენ, იარაღს მიმართეს. „პირველი მაისის“ თავმჯდომარე **ბუღდან თათულაშვილი** სიკვდილს გადაურჩა, მტრის ტყვიამ მხოლოდ ნეკის თითი წააცალა.

— ყურადღება, ყურადღება! ლაპარაკობს თბილისი. მოისმინეთ აგრონომის საუბარი თემაზე: „ახალი ვენახების მოვლა-პატრონობა“.

პირველად ალაპარაკდა სანიორეში რადიო: კოლმეურნეები სმენად გადაიქცნენ, ოთახში ბუზის გაფრენას გაიგონებდით. **ივანე ცოციაშვილი** გარეთ გავიდა, შენობას შემოუარა და როცა ვერავინ ნახა, ოთახში დაბრუნდა. სხვების შეუმჩნევლად კარადის უკანაც შეიხედა.

— ამხანაგო ბუღდან,—მიმართა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — ყველაფერი ეს შენი ოინბაზობაა. ვიღაც გაყავს დამალული და ის ლაპარაკობს. შეიძლება ამბილისა კაცი საუბრობდეს და სანიორეში გვესმოდეს?

„ურეშუნონი“ სხვებიც გამოჩნდნენ. ზოგმა ისა თქვა, ზოგმა ეს. მაგრამ მაინც არ დაიჯერეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საინიორელთა შრომა-საქმიანობაზე წერილი „გამოაცხო“ და საქართველოს რადიორედაქციას სთხოვა: გთხოვთ ჩვენი კოლმეურნეობის წევრი **ალექსი აბრამიშვილი** გამოიყვანოთ და რადიოთი ალაპარაკოთ სანიორელთა საქმიანობაზეო.

მეორე დღეს საღამოს ხუთ საათზე სანიორეში ისმენდნენ:

— „პირველი მაისის“ წევრები დაუცხრომლად ვშრომობთ. გასულ წელს ორი ჰექტარი ვენახიდან სამოცი ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ. ზვრების ფართობი სამი ჰექტარით გავადიდეთ. ზარმაცი და უქნარა არცერთი არა გვყავს, მაგრამ მჯობნის მჯობნი მაინც არიან. ივანე ცოციაშვილი და ზაქარია ბარძიმაშვილი პირველობას არაფის არ უთმობენ.

ალექსი აბრამიშვილმა წერილის წაკითხვა რომ დაამთავრა, დაუმატა:

ივანე ცოციაშვილო, არც ახლა დაიჯერებ, რომ თბილისში ნთქვამის სანიორეში გაგონება შეიძლება?

დაიჯერეს, ვიცან დაიჯერეს!

ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი ამბავი მოვიგონე. ძველს ახალს ადარებ და ყული სიამით გეუსვება.

ბაღლმოყარილ ალაზნის ველზე გაზაფხულმა იქიარეული, მაგრამ მაინც დამკვიდრდა. ფარხმალდაყრილმა ზამთარმა კავკასიონის ცადაზიდულ ზვიად მწვერვალებს შეაფარა თავი.

გაზაფხულმა მინდორ-ველად, ზვრებში შრომის ჰიმნი ააგუგუნა. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა სანიორეში ინტენსიფიკაციის გაზაფხულს ეშურება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მარგალიტაშვილმა** მზეს დაასწრო ადგომა. სოფლის შარაგზას გაჰყვა. გიოს, ალექსს, ივანეს, თათოს — ყველზე მეტია, რაც ზარმაცებზე არ გვიმსჯელია. არ არიან და ვის ეებრძოლოთ? აი კოლმეურნეთა სია და რომელიც გინდათ ამოიწერეთ.

მართლაც ყველა ბეჯითობს. **ვ. მოსიაშვილი, ა. მარგალიტაშვილი, ა. აბრამიშვილი, გ. მარტიროზოვი, ვ. ნონიაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ს. ყაზაროვი.** კაცი არ არის ისეთი, რომელსაც შარშან თუ სხვა წლებში ყოველთვიურად 25-30 შრომადღე არ გამოეტეშვოს. გამგეობის წევრები, სპეციალისტები—ვინ არ ამოწმებს მათს ნამუშევარს, მაგრამ წუნი ვერ შეიქმნა.

ინტენსიფიკაცია, მრავლისმეტყველი ეს სიტყვა სანიორეში მტკიცედ დამკვიდრდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაცია რომ სწორად განხორციელებინათ, სკოლები ჩამოაყალიბეს. აგრონომმა **შოთა აივაზაშვილმა,** ზოოტექნიკოსმა **შურა აივაზაშვილმა,** საშუალო სკოლის მასწავლებელმა **ნინო ხარშილაძემ** კოლმეურნეებს დაწვრილებით თითქმის ყველას შესძახა, მაგრამ არავინ დაუხვდა. უთენია ზვრებში წასულიყვნენ. თავმჯდომარეს არ გაკკვირვებია, რადგან მათი სიბეჯითე ახალი როდია. 175 ჰექტარი ვენახი აქვთ და ერთ ვაზსაც ვერ ნახავ ისეთს, რომ ხელი აკლდეს. უკანასკნელი ათი წლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე ოთხმოცი ცენტნერს გადაამეტა. შარშან ბუნებამ იქიარეულა, მაგრამ სხვაზე მეტი მოსავალი მაინც მიიღეს.

90 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე! ეს წელს იკისრეს.

თავმჯდომარეს მოწინავე მევენახეთა დასახელება ეთხოვეთ.

— ეს, — გვითხრა მან, — ადვილი როდია. სანიორეში სანლოით რომ ეძებთო, ზარმაცსა და უქნარას ვერ ნახავთ. ხუთ ბით შეასწავლეს მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან მცენარეთა დაცვა, მინერალური სასუქების გამოყენება და სხვა. მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებაც არ გამორჩენიათ მხედველობიდან. შუქურების მუშაობის მეთოდები ყველას ეკუთვნილება გახდა.

სანიორელები მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ. „მინდვრის დედოფლისათვის“

ლენინური პრემიები
მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლებს

აჰმედ ბენ ბელა.

დოლორეს იბარური.

ჯერლუფ ბიდსტრუპი.

აკადემიკოსი დ. სკობელცინი,

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატები ეკუთვნიან მშვიდობისათვის მებრძოლთა დიად მრავალმილიონიან არმიას, რომლის მეცადინეობას კაცობრიობა ბევრად უნდა უმადლოდეს იმას, რომ აი უკვე ორი ათწლეულია არ არის მსოფლიო ომი და რომ დედამიწის ყველა ნაწილში სულ უფრო მეტი ადამიანი რწმუნდება — მათს მოქმედებაზეა დამოკიდებული მიაღწიონ იმას, რომ ომი სამუდამოდ შეუძლებელი გახდეს.

ალჟირელი ხალხის ბელადს, მებრძოლ ხელმძღვანელს, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს აჰმედ ბენ ბელას ახლა მიენიჭა ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება.

ახალგაზრდა ალჟირელი — საფრანგეთის ჯარების სერჟანტი ჰიტლერელთა წინააღმდეგ იბრძოდა საფრანგეთისა და იტალიის ტერიტორიაზე, იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, ვისთვისაც დამპყრობლური ომები იყო რწმენის ერთ-ერთი მთავარი სამბოლო. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბენ ბელამ მთელი თავისი ძალონე მოახმარა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. 1949 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ალჟირის არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის მიზანი იყო კოლონიური ჩაგვრისაგან ალჟირის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. 1950 წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ ბენ ბელა დააპატიმრეს და მიუსაჯეს შვიდი წლის პატიმრობა. მაგრამ იგი გაიქცა საპყრობილიდან და ხელმძღვანელობდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას. 1956 წლის ოქტომბერში ბენ ბელა კვლავ დაუპატიმრეს, ჩასვეს საპყრობილეში, სადაც დახლოებით ექვსი წელი იყო. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ ფრანგ კოლონიზატორთა ტყვე დაუსწრებლად აირჩიეს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. როცა საპყრობილიდან გამოვიდა, ბენ ბელამ დაუყოვნებლივ განაახლა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა, რომელმაც ხელი შეუწყო ალჟირელი ხალხის გამარჯვებას. როცა 1962 წლის სექტემბერში გამოცხადდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ბენ ბელა დანიშნეს მის პრემიერ-მინისტრად, ხოლო ერთი წლის შემდეგ აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

ალჟირელი ხალხის მებრძოლი ხელმძღვანელი, ბენ ბელა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის მტკიცე მომხრე, ომისა და გამალებული ატომური შეიარაღების მოწინააღმდეგეა. „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მთავარ რედაქტორებთან საუბარში მან განაცხადა 1963 წლის სექტემბერში: „საგარეო პოლიტიკის დარგში ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ხელმძღვანელობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით და თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. ალჟირელმა ხალხმა იცის, რა მოაქვს ომს. და იგი მტკიცედ იცავს მშვიდობას“.

აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს, მეთაურის გონივრული პოლიტიკური ხაზი, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად მოიპოვა თავისუფლება, ხელს უწყობს ალჟირს თავისი წვლილი შეიტანოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტს ეჭვი არ ეპარება, რომ მშვიდობისათვის მილიონობით მებრძოლი დიდი კმაყოფილებით შეხვდება გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ლენინური პრემია მიენიჭა მეზნებარე რევოლუციონერსა და მშვიდობისათვის მებრძოლს, ესპანელი ხალხის გმირ შვილს დოლორეს იბარურის. ბევრს ახსოვს წლები, როცა დოლორეს იბარურის სახელი მთელ მსოფლიოში გაისმოდა როგორც „სიმბოლო გმირი ესპანეთისა, რომელმაც დაამხო პრიმო დე რივერას სამხედრო დიქტატურა და ბრძოლა დაიწყო გენერალ ფრანკოს ფაშისტი მეამბოხეებისა და მისი მხარდამჭერი იტალიელ-გერმანელი ინტერვენტების წინააღმდეგ. ეს იყო ევროპაში პირველი სახალხო ომი ფაშიზმის წინააღმდეგ, იმ წლებში დოლორეს იბარური, ანუ როგორც მას უველგან უწოდებდნენ, პასიონარია, რაც ნიშნავს „მგზნებარეს“, კორტესების — ესპანეთის პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარე, ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი განასახიერებდა ესპანელი ხალხის მტკიცე გადწყვეტილებას ებრძოლა თავისუფლებისათვის.

1939 წელს ესპანეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დოლორეს იბარური ემიგრაციაში იმყოფება და კვლავ ხელმძღვანელობს ესპანელი ხალხის წინააღმდეგობას ფრანკოს ფაშისტური რეჟიმისადმი.

1963 წლის ლენინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება მიენიჭა საქვეყნოდ ცნობილ დანიელ მხატვარ-კარიკატურისტს პერლუფ ბიდსტრუპს. იგი ეკუთვნის კულტურის მოღვაწეთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელთა ნიჭი ემსახურება კაცობრიობის დიად პროგრესულ იდეებს — მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას.

მსოფლიოს ათობით ქვეყნის მილიონობით მკითხველი კარგად იცნობს ბიდსტრუპს და პირველივე შეხედვით ესმის მისი კარიკატურები და ნახატები. ამ კარიკატურების უმრავლესობას ხომ არა აქვს ტექსტი და ეკუთვნის „უსიტყვო ნახატების“ იმ ჟანრს, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება მისი ინტერნაციონალური ხასიათის მეოხებით. როგორც წესი, ბიდსტრუპის ნახატები პოლიტიკურად უაღრესად აქტუალური, მწვავეა, დასცინის, სატირულად ამხილებს ფაშიზმს, რასიზმს, მილიტარიზმს, კლასობრივ და სხვა ჩაგვრას, ყოველგვარ ბნელეთის მოციქულობას.

მოხეტიალე მღებავი - დეკორატორის შვილმა, 24 წლის ბიდსტრუპმა თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო 1936 წელს ანტიფაშისტურ ჟურნალ „კულტურკამპენში“ — ორგანოში, რომელიც გამოხატავდა დანიის სახალხო ფრონტის პოლიტიკას. მისი დებიუტი იყო ჰიტლერის კარიკატურების სერია.

როცა დანია ხელთ იგდეს ჰიტლერელმა ოკუპანტებმა, ბიდსტრუპი ქარაგმული „ეზოპური“ ენაზე ხატავს სურათებს ლეგალური გაზეთებისათვის, და ამხილებს ნაცისტებს. იგი ხატავს აგრეთვე არალეგალური პრესისათვის, რომელსაც წინააღმდეგობის მოძრაობა გამოსცემდა. ნაცისზმზე გამარჯვების შემდეგ ბიდსტრუპმა მტკიცედ დაუკავშირა თავისი ბედი გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკს“.

ბიდსტრუპის ნახატები არაჩვეულებრივად პოპულარულია დანიაში და მის ფარგლებს გარეთ. დანიის ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე წერდა, რომ ბიდსტრუპის კარიკატურა „ზოგჯერ მთელი მოწინავე სტატიის მაგიერობას სწევს“ ბიდსტრუპის სიცილი ლახვარს სცემს მშვიდობის მტრებს.

კაცობრიობის საუკეთესო ადამიანებმა დაინახეს თავიანთი ცხოვრების მთავარ მიზნად ბრძოლა მშვიდობისათვის, ბრძოლა ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, ომისა, რომელიც კაცობრიობას მოუტანდა არნახულ ტანჯვას.

როცა 1959 წლის მაისში საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს, მან თქვა: „ახლა არ არის და არც შეიძლება იყოს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის ამოცანა, რომ დროზე გადავუღობოთ გზა ომს, არ არის უფროკეთილშობილური მიზანი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. ჩვენს დღეებში მშვიდობისათვის ბრძოლა გახდა თითოეული ადამიანის წმიდა მოვალეობა“. დღეს, როცა ვუღოცავთ ლენინური პრემიის ხამ ახალ ლაურეატს, ჩვენ ვუსურვებთ მათ და მშვიდობისათვის მებრძოლთა მთელ მრავალმილიონიან არმიას გადამწყვეტ წარმატებებს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის კეთილშობილურ, ძნელ და წმიდათა წმიდა ბრძოლაში.

ფეხვედრა საზეიმო სუფრასთან

მოხდა ისე, რომ ამ ოთხ მამაკაცს პირველმანისობამ მოუსწრო თბილისში, სადაც ისინი სამსახურის საქმეზე იყვნენ ჩამოსული საკართველოს სხვადასხვა კუთხიდან. საღამოს სასტუმროს ჰოლში ერთმანეთს გამოელაპარაკენენ და გადაწყვიტეს პირველი მაისის აღსახინავად ერთად ეგზეშათ.

სუფრასთან მალე გაიმართა გაცხოველებული საუბარი.

— მეგობრებო, — თქვა ოთხთაგან ყველაზე უფროსმა, ქუთაისელმა ხანდაზმულმა ექიმმა, — პირველი მაისის მოახლოებისას ყოველთვის მაგონდება ჩემი ცხოვრების ერთი შემთხვევა, ამ დღესასწაულთან დაკავშირებული. არის ხოლმე ცხოვრებაში ისეთი დღეები, რომლებიც არასოდეს არ დაავიწყდება ადამიანს.

— სავსებით სწორად ბრძანებთ, — კვერი დაუკრა ტყიბულელმა სამთო ინჟინერმა. — მეც გიამბობთ ერთ ამბავს, რომელიც პირველ მაისობას გადამხდა.

— ჩემი ამბავი ცოტა არ იყოს სევდიანია ამ საზეიმო დღისათვის, — განაგრძო ხანდაზმულმა ექიმმა. — ეს მოხდა 1921 წელს როცა საქართველოში პირველად იზეიმეს მაისობა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

მაშინ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი და თბილისში, საბურთალოზე ვცხოვრობდი ერთ ფიცრულ სახლში.

სამაისო სუფრაზე ნსხდომნი შუაგულ ზეიმში ვიყავით, როცა მითხრეს, ვიღაცეები არიან და ექიმის ნახვას თხოულობენო.

დერეფანში გამოვედი და ორი უცნობი დავიინახე.

ერთს შავი ტყავის ქურთუკი ეცვა, გვერდზე მაუზერი ეკიდა. მეორე სამხედრო ფორმაში იყო და წოწოლა ქუდი ეხურა.

— გვაპატიეთ, ექიმო, — დაბალი, სასიამოვნო ხმით მითხრა მაუზერიანმა კაცმა. — თქვენთან მოგვასწავლეს, ექიმი აქ უნდა ცხოვრობდესო. ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე კიდია, სხვა გზა არ გვქონდა და თქვენ შეგაწუხეთ.

— გასაგებია, — მივუგე, — აქედან შორს არის?

— არა. მანქანა მოსახვევში გველოდება, — გურულ კილოზე მიპასუხა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა კაცმა.

ჩემს მეგობრებთან ბოდიში მოვიხადე და წავედი.

გზაში მიამბეს ავადმყოფის ამბავი. თურმე ძველი კომუნისტი იყო, მთელი სიცოცხლე რევოლუციის საქმის გამარჯვებისათვის შეელია.

— ჭალეკი აქვს? — ვკითხე.

მაუზერიანმა კაცმა თავი დაიქნია.

მდუმარედ მივდიოდით. ირგვლივ კი ყველაფერ ჩანდა ბაჩახანებული ფანჯრები, ისმოდა მხიარული ხმები და ჩიტ-ჩიტი.

— რა გულდასაწყვეტია, დალახვროს ეშმაკმა, — თქვა სამხედრო კაცმა, — ამდენი ვაივაგლახი გადაიტანა, არ დაკლებია მეტეხი, პეტრეპავლეს ციხე, ციმბირის გზა, იაკუტიის კატორღა, ორი სასიკვდილო განაჩენი, გამოქცევები, ჭრილობები... და აი ახლა, როცა უნდა იეოცხლოს და გაიხაროს ჩვენი გამარჯვებით, სწორედ ახლა უნდა დაგტოვოს! რა უსამართლოა ხანდახან კაცის ბედი...

ავადმყოფთან რომ მივედით, ის უკვე სულს ებრძოდა. აღარაფერი ეშველებოდა. რიერაჯზე მიიცვალა. იმავე ღამით განსვენებულის მეუღლეს ეშშობიარნა და ტყუპი ბიჭი შესძენოდა. საცოდავმა მამამ კი ვეღარ შეიტყო ეს ამბავი.

...მას უკან მრავალი წელი გავიდა. მე უკვე კამოცდილი ექიმი გავხდი, ათასნაირი სიკვდილი მინახავს ფრონტზე და მშვიდობიან ცხოვრებაშიც. მაგრამ ეს შემთხვევა სამუდამოდ დამამახსოვრდა. იმიტომ კი არა, რომ ჯერ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი და ვერ შეგვეფერა სიკვდილს. ეს ამბავი ძალზე წაგავდა მამაჩემის ბედს...

ვერც ის მოესწრო ჩვენს დიად გამარჯვებებს — 1920 წლის ზამთარში დაეცა მწნეულებთან შეტაკებისას...

მაშ ვადღეგრძელოთ, მეგობრებო, პირველი მაისი და ის ადამიანები, რომლებმაც გამარჯვების დიად საქმეს შესწირეს ყველაზე ძვირფასი რამ, რაც კი გააჩნდათ — საკუთარი სიცოცხლე!

ახლა მოყოლა დაიწყო ქერა სამთო ინჟინერმა, მკერდზე ორ ზოლად რომ ეკეთა საბრძოლო ორდენების თამასები.

— ეს ამბავი, მეგობრებო, 1942 წელს შემემთხვა მოსკოვის ფრონტზე. ჩვენი პოლკი წინადღეს შეტევაზე გადგიდა. იერიშის დროს ფეხში დავიჭერი. ბრძოლა ისე წარიმართა, რომ ჩვენმა ნაწილებმა ძველ პოზიციებზე დაიხიეს და თითქმის დღესახვედრი უპატრონოდ ვეგდე. დაჭრილები ცუდ დღეში ჩავვარდით და უკვე უგრძნობლად ვიყავ, როცა ბრძოლის ველიდან გამომიყვანეს და ჰოსპიტალში დამაწვინეს.

კარგი ამბავი კი შევიტყე, როცა გონს მოვედი, — თურმე ჩემთვის მარჯვენა ფეხი მოეკვეთათ.

როგორი საქმე იყო სამთო ინჟინრისთვის ცალფეხად დარჩენა?! ვიყვირე, სულ დედამამის სული ვეტრიალე ექიმებს, მედიცინა ხომ სულ მიწასთან გავასწორე, მაგრამ საქმეს რაღა ეშველებოდა?!

როცა ცოტა დავშოშმინდი, მორიგე სამედიცინო დამ მითხრა:

— რა უსამართლო ხართ, ლეიტენანტო! თქვენ ხომ არ იცით, რა დღეში იყავით? განგრენა გქონდათ, და ექიმებმა სხვა გამოსავალი ვერ ნახეს. ფეხი მუზლსქვემთ გაქვთ გადაჭრილი, პროთეზი საუცხოოა და ერთი წელიც არ გავა, ცეკვასაც კი მოახერხებთ. დღეგანდელ დღეს კი ლანძღვა-გინება და ჩხუბი სადაურია, დღეს ხომ პირველი მაისია. აი ეს კი ინებეთ, სადღესასწაულო საჩუქარია...

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მოწყალების დამ საუცხოო კაბური ჩურჩხელა გამომიწოდა.

— სად გიმოვნიათ? — წამოვიძახე გაოცებულმა.

— ეს ჩვენმა ქირურგმა გამოგიგზავნათ, — მიპასუხა ღიმილით.

— ქირურგმა? რომელმა ქირურგმა?

— სწორედ იმან, რომელმაც ასე მშვენივრად გაგიკეთათ ოპერაცია და გადაგარჩინათ კიდეც. თურმე თქვენებური ყოფილა. ისიც საქართველოდან არის. არ გიხარიათ?

— მართალი რომ გიფხრათ, არა.

— რატომ? — გაუკვირდა შედიცინის დაბ.

— იმიტომ, რომ ვერაფერი დრო შეურჩევია სახუმაროდ. ფეხი მომჭრა და ახლა მოსაღო�ს მიგზავნის! დიდი ხუმარა კაცი ყოფილ!

მედიცინის დამ უცნაურად გაიღიმა.

— რა გაცინებთ?

— რა მაცინებს, და ის, რომ ჩვენს ქირურგს ჰქვია ნინო გოთუა და ალბათ მალე მოგინახულებთ კიდეც...

— რა საინტერესო ამბავია, — გამხიარულდნენ სუფრასთან მსხდომნი. — მერე? მერე რა მოხდა?

— დამაცათ, მეგობრებო, ახლავე შეიტყობთ ყველაფერს, — ინჟინერმა გაიღიმა, პაპიროსს მოუკიდა და ჯიბეში რაღაცას ძებნა დაიწყო.

— აჰა, ნახეთ, — გულის ჯიბიდან ქალის სურათი ამოიღო და დიდი ამბით გადასცა ექიმს.

— ვინ არის? ნუთუ ის ქირურგია?

— არ შემცდარხართ, — გაიცინა ინჟინერმა, ახლა სამი სურათი მოგვაწოდა. — ესენი კი ჩვენი შვილები არიან — სერგო, თინა და ლალი...

ახალდამეგობრებულმა მამაკაცებმა სიამოვნებით შესცქეროდნენ თავიანთი ოჯახების სადღეგრძელოო.

— სამწუხაროდ, მე არ მქონია ცხოვრებაში თქვენსავით უჩვეულო დღეები. მაგრამ გიამბობთ ერთ კაცზე, რომელსაც ძალიან ახლოს ვიცნობდი.

ბავშვობაში ის ნამდვილი ჩხუბისთავი და ონავარი იყო. ოცნებობდა მეზღვაურობაზე, გმირობაზე, რომანტიკაზე.

მაგრამ გავიდა წლები, ჭაბუკური ოცნებანი გაქრა და ჩვენი გმირი სულ სხვაგვარი შეიქნა. მან ცოლი შეირთო, დიდი ოჯახის მამა გახდა, მაგრამ არც კაპიტანი გამოსულა, არც გარეული მხეცებზე მონადირე, არც მფრინავი. მან აირჩია ყოველდღიური ცხოვრება და რომანტიკას დაშორებული ხელობა — სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი.

ახლა მას აქვს საპეციერო ჯრომები, რა თქმა უნდა, დაბერდა ჭაღარა შეერია და ყბრიად ღიმილით იხსენებს შორეული ყრმობის დღეებს.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, მის ცხოვრებაში მოხდა ისეთი რაღაცა. რა დავარქვა?.. აი ისეთი ამბავი, რასაც ეწოდება გმირობა...

— გმირობა?

— დიახ, სწორედ გმირობა. ოღონდ იმედი უნდა გაგიცროთ: ის არც ომში ყოფილა, არც მძვინვარე ბანძრისას გამოუჩენია ვაჟკაცობა, არც ყაღაღებული გადაურჩენია. უბრალოდ, ერთ-ერთი სამაისო დღესასწაულის წინადღეს ჩაის ანალი ჯიშების გამოყვანისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს...

— სამაისო საჩუქარიც ამას ჰქვია! — წამოიძახა ინჟინერმა.

— ერთი წუთით, მეგობრებო, — წამოდგა ოთხთაგან ყველაზე ახალგაზრდა. — თქვენ ახლა მოისმენთ ჩვენი პატივცემული პროფესორის ზოთა ზელიას ცხოვრების ამბავი და მე მინდა პირადად გაგაცნოთ ის. მაპატიეთ, პატივცემულო პროფესორო, რომ გაგეცით, მაგრამ ჩემი მეგობარი თქვენთან მუშაობს მახარაძეში და როცა მასთან ჩავსულვარ, ხშირად მინახავხართ. მეგობრებო, გამოვიტყდებით, რომ ის პირველი ამბავი, რომელიც აქ მოვისმინეთ, უშუალოდ დაკავშირებულია ჩემთან...

— თქვენთან? — გაოცდა ექიმი.

— თქვენ ხომ ჯერ ორმოცისაც არ იქნებით? რა ხნისა იქნებოდით მაშინ? — გაიკვირვა პროფესორმა.

— ძალიან ცოტა ხნისა. საქმე ის არის, რომ მე ‹‹ავიბადე 1921 წლის პირველ მაისს და ის კაცი, რომლის ამბავიც გვიამბო პატივცემულმა ექიმმა, მამაჩემი გახლდათ. მე მისი გარდაცვალების დღეს დაბადებული ტყუპის ცალი ვარ. სპეციალობით ინჟინერ-ქიმიკოსი გახლავართ და ინჟინრად ვმუშაობ ურავის დარიშხანის ზარმოებაში.

— აი შეხვედრაც ამას ჰქვია!

— საგანგებო სადღეგრძელოთი უნდა აღინიშნოს!

— შეგავსოთ ჭიქები!

— ეს ოთხმა მამაკაცმა ერთად ასწია სასმისები.

ს. კილაძე.

ეს ფოტოსურათი ამას წინათ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ქ. მახარაძეში ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა მეორე შეკრებაზე. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მეჩაიეები მადონა ბელეშაძე (მახარაძე), ნადია ოჯრეროვიჩიძე (ქობულეთი), მეციტრუსე ნინო ბაჩილავა (ხობი), აგროტექნიკოსი ივანე შარახა და მეციტრუსე ლუიზა ეხვაია (გალი), მეჩაიეები ძეთო გოგიჩიძე (ქობულეთი) და კლავდია ნაცვალაძე (მახარაძე), მუშა რეზო ბუაძე (გალი) და მეციტრუსე ანა დოზორცევა (ზუგდიდი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

განვავითაროთ ურთიერთობა და თანამშრომლობა

(დასასრული)

მსოფლიოში. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ მიღწეულია დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რაც ახალი მსოფლიო ომის შესაძლებლობას ამცირებს. ამ საერთაშორისო ვითარების გამო მიმაჩნია, რომ დაიწყო ახალი ეტაპი, როცა ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანად შეიძლება გვქონდეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის მეგობრობის განმტკიცების შემდგომი ღონისძიებათა ძებედი.

იზიარებთ თუ არა ამ თვალსაზრისს? და თუ იზიარებთ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს, რომ ხელი შეეწყოთ კეთილ ნებასა და მეგობრობას ჩვენს ორ ქვეყანას შორის?

პასუხი: სავსებით ვიზიარებ თქვენს თვალსაზრისს. როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა თავის მმართველი იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხაიატო იკედასადმი, არსებობს ყველა შესაძლებლობა ურთიერთხელსაყრელი კავშირისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის ყველა დარგში: პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიურ, მეცნიერულ და კულტურულ დარგში. ასეთი თანამშრომლობა შეესაბამება იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, მხოლოდ სიკეთესა და სარგებლობას მოუტანს მათ, განამტკიცებს ჩვენი ქვეყნების უშიშროებას და მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში.

ვფიქრობ, რომ ორივე მხარეს ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს, რათა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება. დიდი ხანია დადგა დრო ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას და ბოლო მოვუღოთ სამწუხარო წარსულის ნაშთებს. ეს გზას გაუკაფავდა ნამდვილ მეგობრობას.

დიდ სარგებლობას მოიტანს ორივე ქვეყნის პარლამენტების კონტაქტების განვითარება, სსრ კავშირისა და იაპონიის ცალკეული ქალაქების მეგობრული კავშირურთიერთობის განვითარება, კულტურული და მეცნიერული გაცვლის შემდგომი ყოველმხრივი გაფართოება. სავსებით რიდია გამოყენებული საბჭოთა კავშირ-იაპონიის ვაჭრობის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობაშიც. ახლა, როცა თანამშრომლობის საკმაოდ დიდი დადებითი გამოცდილება გვაქვს თევზჭერის დარგში საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1956 წლის თევზჭერის კონვენციის შესაბამისად, საჭიროა მივიღოთ ღონისძიებანი თევზის მეურნეობის კვლევის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მოსაწესრიგებლად. ეს სასარგებლო იქნება თევზის სიმდიდრეთა გასამრავლებლად, რომლებსაც ჩვენი ქვეყნები იყენებენ. როგორც ხედავთ, ჩვენ ბევრ რამეზე შეგვიძლია ვიმუშაოთ ერთად, თუ მართლაც ვეცადეთ ეს ეფექტიანად ვიმუშაოთ. ეს ეხება ორმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ეს არის ხაბომაისა და სიკოტანის კუნძულების საკითხი, რომელიც როგორც ალბისადი იცით, ძლიერ აწუხებს ჩვენს ხალხს. მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ მოლაპარაკების ახალი ტურის მეშვეობით შეგვიძლია მივაღწიოთ ამ ძველი პრობლემის გადაწყვეტას?

პასუხი: როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა. იაპონიის რეგულატორებისა და გამომცემლობების ასოციაციის წარმომადგენლებისადმი პასუხში, ხაბომაისა და სიკოტანის კუნძულების საკითხი, ალბათ, უკვე მოწესრიგებული იქნებოდა, იაპონიის მთავრობას რომ დაეცვა საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1956 წლის ერთობლივი დეკლარაცია და დათანხმებულიყო საზავო ხელშეკრულების დადებას. 1956 წელს, იაპონიის მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან ბატონ იტირო ხატოიამასთან მოლაპარაკების დროს ხომ შეეთანხმდით ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საზავო ხელშეკრულებას დავდებდით.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ საქმიანი მოლაპარაკების განგრძობა საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ერთობლივი დეკლარაცია. მაგრამ, თუ იაპონიის მთავრობას მიაჩნია, რომ ასეთი მოლაპარაკებისათვის პირობები ჯერ არ მომწიფებულა, ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ ამას და არ ვაპირებთ მოვლენათა დაჩქარებას. ეს ხომ ისეთი საქმეა, რომლითაც იაპონია სსრ კავშირზე ნაკლებ არ არის დაინტერესებული. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარება კი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ახლანდელ ეთარებაშიც შეიძლება.

კითხვა: სწორედ ასეევ, არის თუ არა რაიმე შესაძლებლობა, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის შორის დიდოს შეთანხმება სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლის შესახებ?

პასუხი: ამ საკითხზე საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ორგანოებს შორის გაიმართა აზრთა გაზიარება, რის შედეგადაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხარეთა პოზიციები იმდენად დაახლოვდა, რომ, თუ ორივე მხარე მოისურვებს, შეგვიძლია ეს საკითხი ერთად, ერთ-ერთ ადგილას, ერთ-ერთ ადგილას, ერთ-ერთ ადგილას

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სამაისო ნობათი

სოხუმი. (საკ. კორ.). ზღვისპირა ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, თბილისის გზატკეცილზე რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა ტურისტული ბაზა „სინოპი“. ტურისტული ბაზა მიმდინარე ტურისტულ სეზონს სანიმუშოდ მომზადებული შეხვდა.

აქ გაშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორასადგილიანი კორპუსი.

ბაზაში გაყვანილია წყალსადენი, მოასფალტებულია ტერიტორიის გზები, გაფართოვდა სასპორტო მოედნები.

ახალი კორპუსების სალონებში დადგმულია ტელევიზორები. ბიბლიოთეკისათვის დიდი რაოდენობით შეძენილია მხატვრული ლიტერატურა, პარკში მოეწყო გზეთის ვიტრინები.

დუშეთი. (საკ. კორ.). პირველი მაისის წინადღეებში შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს დუშელმა მშრომელებმა. რაიონული ცენტრის მთავარ ქუჩაზე საქმაოდ ოპტიმალურად გადაეცა ოცდაშვიდბინიანი საცხოვრებელი სახლი. ახალ ბინებში უკვე ჩასახლდა ათობით ოჯახი. იქნები მშრომელთა საერთაშორისო დღეს — პირველ მაისს ახალ ბინებში იზეიმებენ.

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა კარგი საპირველმაისო საჩუქარი მიიღეს. აქ დამთავრდა სასწავლო კომბინატის მშენებლობა. იგი ერთ-ერთი ლამაზი და უდიდესი ნაგებობაა ჭიათურაში.

სასწავლო კომბინატს აქვს ქიმიისა და ფიზიკის კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, საარქივო და სასპორტო დარბაზები, სასადილო. აქვე მოთავსდება მარგანტრესტის მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა.

აქ გათვალისწინებულია გაიხსნას ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებული განყოფილება.

მკითხველის კალმით

● **ჭიათურაში** — მარგანეცის ქალაქში შეიქმნა და მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც 70 მსმენელია გაერთიანებული. მისი რექტორია ექიმი ე. ებანოიძე. ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ექიმები — მედიცინის მეცნიერების კანდიდატი გ. გაბუნია, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმები თ. ბარათაშვილი და პ. ფხალაძე, გამოცდილი ექიმები გ. კილაძე, ლ. ენუქიძე, ბ. მიჩელიძე, ი. კურცხალია და სხვები.

უნივერსიტეტის მსმენელები თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკას გადიან საავადმყოფოში მედპერსონალის ხელმძღვანელობით.

ჭ. პაიკიძე.

● **ორიოლე** წლის წინათ გაზის ქურა იშვიათობას წარმოადგენდა კურორტ გაგრაში. დღეს „გაგრაგაზს“ უკვე ათასზე მეტი აბონენტი ყავს.

გაზით სარგებლობენ კურორტის ჯანმრთელობის კერებიც, სანატორიუმ „სომხეთისა“ და „უკრაინის“ სამზარეულოები.

ვ. როდონაია.

მეგობროგის კონცერტი

რუსთავი. (საკ. კორ.). არც თუ დიდი ხნის წინათ ალავერდიდან წერილი მოვიდა რუსთავში. მისი ავტორები — სომეხი მუსიკოსები სწერდნენ თავიანთ ქართველ კოლეგებს — რუსთავის მუსიკალური სასწავლებლისა და სკოლის ხელმძღვანელებს, რათა სწვეოდნენ ალავერდში მეგობრობის კონცერტის ჩასატარებლად. რუსთაველმა მუსიკოსებმა სიამოვნებით მიიღეს მიწვევა და ამ დღეებში გაემგზავრნენ სომეხ მეგობრებთან.

ალავერდში გაიმართა მეგობრობის კონცერტი. სომეხმა და ქართველმა მუსიკოსებმა შეასრულეს ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, აგრეთვე დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ტელესტუდია უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში, კაბინეტ-ლაბორატორიებში, დერეფნებში მუშაობენ ტელეეთერები. ცისფერი ეკრანიდან სტუდენტები ისმენენ ლექციებს, მათემატიკის პროფესორი საუბრობს ახალ ალმოჩენებზე... უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტთა მოკავშირეთა არმიას ულოცავს პირველი მაისის დღესასწაულს... სასპორტო მოედნიდან წარმოებს რეპორტაჟი... ეს ხვალინდელი დღეა.

განა ასეთი რამ იქნება უნივერსიტეტში? იკითხავთ თქვენ. დიახ, ორი დღის წინ ლექციებს შორის ერთ-ერთ შესვენებაზე უკვე ამუშავდა ტელესტუდია, მოეწყო სასნაჯი გადაცემები. პირველი კორპუსის მეორე სართულზე სტუდენტებმა მოიყარეს თავი. დაიწყო გადაცემა, რომელიც შესვენებებზე გრძელდებოდა.

ტელეეთერი შესანიშნავად მუშაობს, გამოსახულება კარგია. სტუდია მოწყობილია მეექვსე კორპუსში კინოტელეფოტოკაბინეტში. აქედან წარმოებს გადაცემები. 10 მაისიდან მოეწყობა რეგულარული ტელეგადაცემა.

უნივერსიტეტის ტელესტუდიის შექმნის იდეა სამ წლის წინათ დაიბადა. ტექნიკა სულ უფრო იკრება სასწავლო პროცესში, და ამიტომაც უნივერსიტეტის რექტორატმა, პარტიულმა კომიტეტმა, ადგილკომმა, ჟურნალისტიკის კათედრამ, კინოტელეფოტოკაბინეტის მუშაკებმა ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს საქმისადმი. იდეას ხორცი შეასხეს. დიდი დახმარება გაუწია უნივერსიტეტს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ ტექნიკური სამუშაოების შესრულებით.

ექსკურსიები თვითმფრინავით

მოსკოვი, 29 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს მოსკოვს ახლოს მდებარე აეროდრომებიდან აფრინდნენ თვითმფრინავები და კუშნი აიღეს ლენინგრადისაკენ, კიევისაკენ, ლვოვისა და სევასტოპოლისაკენ. თვითმფრინავთა სალონებში არიან ექსკურსანტები: დედაქალაქის საწარმოთა მუშები, მშენებლები, მეცნიერები და ექიმები.

სადღესასწაულო ექსკურსიების მოწყობა თვითმფრინავებით ჩვენს ქვეყანაში კარგი ტრადიცია გახდა. აეროფლოტმა ტურისტებისათვის სპეციალურად გამოყო სამი 170-ადგილიანი გიგანტი „ტუ-114“. პირველი მაისის წინა დღეს ისინი მოსკოველებს ჩაიყვანენ კიევში, ხოლო 3 მაისს კვლავ მოსკოვში ჩამოიყვანენ.

ახალი გაღეგი

გათუში. (საკ. კორ.). აპარაში უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება ექცევა ხეხილის ბაღების გაშენებას. მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულის პირველ ორ თვეში აპარის კოლმეურნეობებმა ხეხილი 200 ჰექტარზე გააშენეს.

ხეხილის ბაღების მომრავლებაში თავი ისახელეს ქედის რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც 28 ჰექტარზე გააშენეს ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ბაღები. ქობულეთის რაიონში ხეხილის ბაღების გაშენებასთან ერთად, ნაყოფმომცემ ხეებს რგავენ ცენტრალური გზებისა და ქუჩების გაყოლებით. ასე, მაგალითად, ფიჭენარიდან ციხისძირამდე, სადაც მოასფალტებული გზების ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე აყვავებული ატმის, მსხლის, ტყემლისა და სხვა ხეხილის ნარგავებია ჩამწკრივებული.



საბინაო მშენებლობა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე. ნახატი ვ. კაიდარაშვილისა.

წყალი ბობოქრობს, ადამიანები არ დრკებიან

დაბა აინი, (ტაჯიკეთის სსრ), 29 აპრილი, (საკდესის კორ.). ტაჯიკეთის ზერავშანის ხეობაში, სადაც ვეება მეწყერმა კალაპოტი ჩაუგმანა და შეაგუბა მძლავრი მთის მდინარე, დაიგრიალა პირველმა მასობრივმა აფეთქებამ. ცაში აიტყორცნა ათასობით ტონა ხრეში და კლდის ნალეწი. მეწყერის ზედაპირი, იმ ტრასის გასწვრივ, რომელიც ჰიდროტექნიკოსებმა დასახეს შემოსავლელი არხისათვის, გაარღვია ღრმა თხრილმა. ეს არხი საჭიროა იმისათვის, რომ შიგ მიუშვან ზერავშანი და მისი შენაკადები, რადგან ქმნიან იმის საფრთხეს, რომ გაარღვევენ გაჩენილ კაშხალს და შეგუებული წყალი თავზე ჩამოექცევა დინების ქვემო წელში მდებარე ორი რესპუბლიკის — ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ქალაქებსა და ყიშლაღებს. აფეთქებული უბნის გასაწმენდად განუწყვეტლივ მუშაობენ ბულდოზერები.

ამავე დროს, კვლავ მატულობს კაშხალის ზემოთ გაჩენილი ტბის დონე. ყოველი დღე-ღამის განმავლობაში მას ემატება დაახლოებით 6 მილიონი კუბური მეტრი წყალი. ტბის საერთო მოცულობა უკვე უახლოვდება 25 მილიონ კუბურ მეტრს. სანამ წყლით ივსება ზერავშანისა და მისი შენაკადების ვიწრო ორწოხები, სპეციალისტები — ჰიდროტექნიკოსები და დამპროექტებლები, აზუსტებენ დატბორვის ზონის კონტურებს.

სახელმწიფო კომისიის წევრებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ მუშაობას მეწყერით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად, ყოველივე ამის შესახებ აცნობეს მომხდარი ამბის რაიონში შეკრებილ გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტებს.

სპეციალისტებმა კატეგორიულად უარყვეს ყოველგვარი ვარაუდი, რომ შესაძლებელია წყალმა დაფაროს ქალაქი სამარყანდი. მათ განაცხადეს, რომ ახლა საჭიროა მოიგონ მთავარი ფაქტორი — დრო, რომელზედაც დამოკიდებულია, თუ რით დამთავრდება ეს ამბავი. დროის მოგება საჭიროა იმისთვის, რომ არ მისცენ წყალს საშუალება ავიდეს ჩამონაქცევის ზედაპირამდე, აგრეთვე იმისთვის, რომ შემოსასვლელი გზით მიუშვან იგი ზერავშანის ძველ კალაპოტში. სპეციალისტებმა წამოაყენეს აგრეთვე მეწყერის ქვიან-თიხიანი ზედაპირის ქიმიური აფსკით დაფარვის იდეა.

— ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ. მოსახლეობა მშვიდად და გულდაჯერებულად არის, — განაცხადეს სახელმწიფო კომისიის წევრებმა. — მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საჭიროა განვახორციელოთ ყველა შესაძლებელი ღონისძიება, რათა თავიდან ავაცილოთ ადამიანებს, ნათესებს, ბაღებსა და საირიგაციო ნაგებობებს საფრთხე. პენჯიკენტის, სამარყანდისა და ბუხარის ათი ათასი კოლმეურნე მუშაობს ნაპირების გასამაგრებლად. იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ წყალდიდობის გამო, დამატებით გამოიყო თესლი და სასუქი.

პრეს-კონფერენციაზე განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის კეთილმყოფელ სულისკვეთებასა და სიდიადეს, რომლებიც ესოდენი სიცხადით გამოვლინდა მრისხანე სტიქიონის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

ნ. კონსტანტინოვი,
საკდესის სპეც. კორ.

ლიმილით, სიცოცხლით სავსეა ეს პირმცინარი ბავშვები. უხარიათ, ლაღობენ. ყვავილებით ხვდებიან დიდ სახალხო ზეიმს — პირველ მაისს. დღეს ისინი, როგორც თბილისის პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიული წრის წევრები, თავიანთ ხელოვნებასაც უჩვენებენ რუსთაველის პროსპექტზე, სიმღერით და ქართული ცეკვით ჩაივლიან საღღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებთან ერთად.

ფოტო. შ. ჩხეტიანისა.

ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 12

1964 წლის 25 აპრილი
ქ. თბილისი

1964 წლის 1 მაისის პარადის შესახებ

§ 1

1964 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით. რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 30 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადოა.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა **მ. ა. დუბოდელმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მაცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს.

თბილისის გარნიზონის უფროსი სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი

ლუგოვცევი.

თბილისში 1964 წლის 1 მაისს მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის შესახებ

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს — 1964 წლის 1 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია დაიწყება 11 საათზე.

მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობენ, იკრიბებიან თავიანთ შესაკრებ პუნქტებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში და რრგანიზებულად, რაიონულ კოლონებად მიდიან რუსთაველის პროსპექტზე დაწესებული მარშრუტებით.

რუსთაველის პროსპექტზე იმ პირების გაშვება, რომლებიც მოსაწვევი ბილეთებით მოდიან, წყდება დილის 9 საათსა და 45 წუთზე.

ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, გარდა სპეციალურ საშვებიანი ავტომანქანებისა, ცენტრალური მოედნების რაიონში შეწყდება დილის 7 საათსა და 30 წუთზე და განახლდება დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 5 მაისს.

● ჰაღრაკის კუთხე ●

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა ქალებისათვის, რომელიც პირველად მოეწყო ჩვენს ქვეყანაში, დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

კონკურსის ყიური ათობით წერილს იღებს.

დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ მეორე ტურის დავალებას — ორ ამოცანას.

შეგახსენებთ, რომ სამხვლიან ამოცანაში საჭიროა ნაჩვენები იქნეს ძირითადი ვარიანტების ორი პირველი სვლა, ხოლო ოთხსვლიან ამოცანაში — ყველა ძირითადი ვარიანტი. წერილში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ამომხსნელის გვარი, სახელი, მამის სახელი, სპეციალობა, ჰადრაკში სპორტული თანრიგი და მისამართი.

ნონა გაფრინდაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი, კონკურსის ყიურის თავმჯდომარე.

ამოცანა № 3



a b c d e f g h

თეთრები: მფd2, ლa1, ეh4, კe5 (4).
შავები: მფg6, კh1, პპ: b7, e6, g4 (5).
შამათი სამ სვლაში

ამოცანა № 4



a b c d e f g h

თეთრები: მფb8, ლc7, ეb2, მg5. პპ: b7, c2, d3, h5 (8).
შავები: მფf6, კa6. პპ: a7, a5, b5, e3, f5, h7 (8).
შამათი ოთხ სვლაში

მატჩები • ტურნირები • ჩემპიონატები

თითქმის ჩემპიონები

ლიმა, 30 აპრილი. (საკდესი). მსოფლიოს პირველობაზე პერუს გუნდზე კიდევ ერთი გამარჯვების შედეგად — 80:41 (35:9), საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა პრაქტიკულად უზრუნველყვეს თავიანთი ჩემპიონობა. ახლა ორ დარჩენილ შეხვედრაში ჩვენი გუნდისათვის საკმარისია მოიგოს ერთი, და იგი მოუწევდა მეორე გახდება. 30 აპრილს ჩვენი სპორტმენები შეხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს, 4 მაისს — ბულგარეთის გუნდს.

მეორე მატჩში „ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. თანაბარ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა 60:52.

მეხუთე დამარცხება

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებს მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ კიევში უკრაინის ნაკრებთან. შეჯიბრება აღინიშნა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა უკრაინელ კალათბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 81:80. ეს ამერიკის გუნდის მეხუთე დამარცხებაა. მორიგი ორი შეხვედრა სტუმრებს ექნებათ თბილისში.

ფრე მოსკოვში

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდები. ბაქოელი ფეხბურთელები წარმატებით იბრძოდნენ ჩემპიონის წინააღმდეგ და შეხვედრა ფრედ — 1:1 დაამთავრეს.

ამრიგად, მოსკოვის „დინამომ“ კიდევ ერთი ქულა დაკარგა. 7 თამაშიდან მათ ბურთების სხვაობა 11—7 8 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილი უკავიათ.

სპორტული ქრონიკა

□ **ერევანში** დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა გუნდმა (14.307 ქულა). პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ო. ნოვიკოვი (5.139 ქულა). საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

□ **საბჭოთა** მოცურაველებისათვის აწმყო სეზონი ნაყოფიერი აღმოჩნდა. ისინი ბრწყინვალედ გამოვიდნენ შვეიცარიის საერთაშორისო შეხვედრაში. წარმატება ხვდა გ. პროკოპენკოს, რომელმაც წელს ცხრა რეკორდი დაამყარა. უკანასკნელი რეკორდი გ. პროკოპენკომ დაამყარა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში.

მერვე ჯერის მაჯჩები

2 მაისი „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდებისათვის საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის დღეა.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება 7 მატჩი. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „ტორპედოს“ გუნდები. ყურადღებას იპყრობს ჩემპიონატის ლიდერის თბილისის „დინამოს“ გამოსვლა კიმინოოვი „მოლდოვას“ წინააღმდეგ.

მოსკოვის „სპარტაკი“ ითამაშებს კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“, კიევის „დინამო“ იაროსლავლში „შინიკთან“. ქუთაისში პაექრობა ექნებათ ადგილობრივ „ტორპედოსა“ და ალმა-ატის „კაირატს“, ლენინგრადში — „ზენიტსა“ და დონეცკის „შახტიორს“, მინსკში — ადგილობრივ „დინამოსა“ და დონის როსტოვის სკა-ს.

* * *

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით 6 მაისის სამი მატჩი „ზენიტი“-„დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი) - „სპარტაკი“ და „დინამო“ (მინსკი)-ცსკა — გადატანილია 27 ივნისისათვის.

მაისობა

იმ უამრავ დღესასწაულთა შორის, რომლებსაც ადამიანები ზეიმით აღნიშნავდნენ უხსოვარი დროიდან, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ფართო სახალხო ხასიათისა იყო მაისის დღესასწაული. ადამიანი მოუთმენლად ელოდა ამ თვის მოახლოებას. მაისი მას დიდ სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებდა. იგი ხომ ბუნების აღორძინების, ზაფხოლის ძიღისაგან გამოღვიძების თვედ იყო მიჩნეული.

მაისის სახელწოდება წარმოდგა ძველრომაელთა გაზაფხულის, აყვავების ქალღმერთ მაიასაგან (რომაელთა მიხედვით მაია იყო სულების მეგზურის მერკურიუსის დედა).

სლავ ტომებში მაისის თვე აღნიშნავდა ვარდყვავილობისა და ბალახის სიუხვეს; ამერიკელი ინდოელები მას უწოდებდნენ ფოთლების თვეს. ფრანგები კი ყვავილების თვეს — ფლორეალს (ძველი ბერძნული მითოლოგიით ფლორა იყო გაზაფხულისა და ყვავილების ქალღმერთი). ძველ პოლონელებსაც ჰყოლიათ მაისის თვის მფარველი ქალღმერთი მაია, რომელსაც ქეიბას ასხამდნენ სიმღერებში.

ძველქართულად მაისის თვეს ვარდობისთვე ეწოდებოდა.

ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა დღესასწაულთან, მაისის დღესასწაულთანაც სხვადასხვა ქვეყანაში დაკავშირებული იყო მრავალი წესი და ადათი.

მაისს ძველი საბერძნეთი ეგებებოდა მასობრივი გართობით. საპირველმაისოდ ბერძნები კარებს რთავდნენ ყვავილებითა და ხის ტოტებით. სამაისო ზეიმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველგერმანელთა ტომებში — აწყობდნენ სამაისო ხეებს. ანთებდნენ კოცონებს, რომლებზეც სტებოდნენ ხოლმე საცოლე ახალგაზრდები. გერმანელთა ცურწმენით მაისის კოცონს თითქოს შეეძლო ადამიანი დაეცვა მავნე სულებისაგან. სამაისო ზეიმზე ისინი ირჩევდნენ გოგონებსა და ვაჟებს, რომლებსაც მეფესა და დედოფალს უწოდებდნენ.

საპირველმაისოდ შვეიცარიაში ხმირად ეწყობოდა წარსული ზამთრის დასაფლავების ცერემონიალი. თუ მაისის პირველ დღეს კარგი ამინდი დაემთხვეოდა, მას დიდი ზეიმით ხვდებოდნენ — სოფლის მოედნებზე რგავდნენ „სამაისო ხეებს“ და ვიღაც ყველაზე მაღალი კენწეროდან ჩამოიღებდა ფერად ნაჭერს ან გვირგვინს, მას მაისის მეფის ტიტული ენიჭებოდა.

სამაისო ხეების, კერძოდ, არყის ხეების, მორთვა, მათ ირგვლივ სიმღერები და ცეკვები, ხალხური გასართობები მეტად პოპულარული ყოფილა სლავ ტომებში, ბალტიისპირეთსა და რუსეთში.

სამაისო არყის ხეების მორთვა ჩვეულებად ჰქონიათ ინგლისელებსაც. საპირველმაისოდ ლონდონის ქუჩებში საზეიმოდ მიემართებოდა ბუხრის მწმენდელთა პროცესია. ისინი ირჩევდნენ და რთავდნენ მაისის ლორდებსა და ლედებს, ახალგაზრდები წყალს ასხამდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ქუდზე ან ტანსაცმელზე გაკეთებული არ ჰქონდათ სამაისო ნიშნები — ტოტები ან გვირგვინები.

ძველათ საქართველოში მაისის საღამოს ვაჟები ხის ტოტებითა და ვარდ-ყვავილებით რთავდნენ იმ სახლებს, სადაც სატრფო ეგულებოდათ. თუ ქალი ვაჟს თანაუგრძნობდა, ყვავილებს სახლში შეიტანდა და მოირთვებოდა.

ასე იყო ძველათ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მაისი დღესაც სასიხარულო თვეა ახალი გაგებით. ძველი ადათი და წესი, ყოველგვარი ცრურწმენა წარსულს ჩაბარდა. პირველი მაისი არა მარტო ბუნების გამოღვიძების ზეიმია, არამედ მშრომელთა საერთაშორისო ძმობის დღეც არის.

პირველი მაისის დღესასწაული მიღებულ იქნა 1889 წლის იულისში II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე. კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ნათქვამი იყო, რომ ერთხელ და სამუდამოდ დანიშნულიყო დიდი საერთაშორისო მანიფესტაციის დღე. ამ რეზოლუციის მიხედვით ხვდებოდა მაისი ბურჟუაზიის ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხებს ბრძოლა-მოძრაობისა და ერთიანობის ნიშნად.

ამ დღეს დაკავშირებული იყო 1886 წლის 1 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ სისხლიან ამბებთან. ამ დღეს მსხვილ სამრეწველო ცენტრში — ჩიკაგოში მოეწყო საყოველთაო გაფიცვა. მუშებმა მოითხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება და სამუშაო საათების 8 საათამდე დაყვანა. მუშების მოთხოვნებს ტყვიით უასუხეს.

1890 წელს პირველმაისობა მოეწყო გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში, ბელგიაში, შვეიცარიასა და სხვაგან. ამავე წლის 4 მაისს ლონდონში მოეწყო დემონსტრაცია და მასობრივი მიტინგი.

1892 წელს ლონდონელ მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციას ჰაიდ-პარკში ესწრებოდა ფრიდრიხ ენგელსი და ელეონორა მარქსი.

პირველმა საპირველმაისო გაფიცვებმა ხელი შეუწყეს პროლეტარიატის სოლიდარობის განმტკიცებას. მუშათა კლასმა პირველად ორგანიზებულად ჩაატარა გაფიცვა საერთაშორისო მასშტაბით.

დაწყებული საქმის გაგრძელება და ახალი მასშტაბით მისი სრული დაგვირგვინება წილად ხვდა რუსეთის მუშათა კლასს. პირველმაისობა რუსეთში დაიწყო დასავლეთ ევროპაში ამ ზეიმის დაწყებისთანავე. რუსეთის იმპერიაში ეს ზეიმი პირველად აღინიშნა 1890 წელს ვარშავაში.

1891 წელს პირველი მაისი იზეიმეს პეტერბურგში. თბილისელმა მუშებმა პირველი მაისი პირველად აღნიშნეს 1898 წელს.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთის მუშათა კლასი პირველ მაისს აღნიშნავდა რეაქციისა და დევნის პირობებში.

1918 წელს რუსეთის მუშათა კლასმა საერთაშორისო პროლეტარიატს ეს დიდი დღესასწაული მსოფლიოში პირველად იზეიმა როგორც გამარჯვებულმა კლასმა.

დღეს გმირი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით ზეიმობს პირველი მაისის დღესასწაულს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

მრავალ პირველ მაისს, ამხანაგებო!

ს. ედიგარი.

● საინტერესოა ვიცოდეთ ●

● ჩვენი კონკურსი

გრძელდება

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**—კონსული მოიპარეს (მე-16 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (1-ლი აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — სიმღერა თბილისზე, **სანკულტურის** — როგორ მოვხვდი საგიქეთში, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო კონცერტი.

2 მაისს

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეკიმი აიბოლიტი (დღისით), ლუჩია დი ლამერმური (საღამოს, მე-7 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი** დარბაზი — ზაფხულის ღამის სიზმარი (დღისით, მე-2 აბონ. მე-6 წარმოდგენა), ეზოში აკი ძაღლია (საღამოს, მე-11 აბონ. მე-5 წარმოდგენა) **რუსთაველის სახელობის** მცირე **დარბაზი** — ჭინჭრაქა (საღამოს, აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — კონსული მოიპარეს (დღისით, აბონ. გარეშე, საღამოს, მე-2 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (დღისით), ეზოში აკი ძაღლია (საღამოს, მე-3 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მე და ჩემი მეზობლები (პრემიერა), **სანკულტურის** — ვაზისუბნელი ძმაკაცები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — თეთრად ფრიალებს აფრა ეული (აბონ. № 7, 11 ს., აბონ. № 3, 5 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო კონცერტი.

3 მაისს

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სიმონ კოტკო (პრემიერა), **რუსთაველის სახელობის დიდი** დარბაზი — ეზოში აკი ძაღლია (დღისით, აბონ. გარეშე), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჭინჭრაქა (დღისით), პოეზიის საღამო (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე ეხედავ მზეს (დღისით), 23-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა), საღამოს მე-17 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ეზოში აკი ძაღლია (დღისით), საჭიროა მატყუარა (საღამოს აბონ. გარეშე), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — ორი ქალაქელი (დღისით), მე და ჩემი მეზობლები (პრემიერა, საღამოს), **სანკულტურის** — როგორ მოვხვდი საგიქეთში, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩექმებიანი კატა (აბონ. № 35, 11 ს.), თეთრად ფრიალებს აფრა ეული (აბონ. № 23, 5 ს.), **თოჯინების ქართული** — დაკარგული საუნჯე (12 ს.), ჩექმებიანი კატა (3 ს.).

ტელევიზია

2 მაისს

12.00 — თქვენი თხოვნით, პატარებო!, 12.30— მხატვრული ფილმი „ზღვის მონადირე“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — კინონარკვევი „წითელი მოედანი“, 18.55 — გადაცემა ცაკლიდან — „იცი თუ არა?“, 19.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ახალი ნიშანი“, 19.25 — საესტრადო კონცერტი — „მხიარულ ტალღაზე“, 20.25 — მხატვრული ფილმი „დაკარგული მელოდიები“, 21.50 — ახალი ამბები, 22.05 — „ცისფერი ეკრანის“ სტუმრები.

3 მაისს

12.00 — კონცერტი — „სამაისო სიმღერები“, 12.20 — მხატვრული ფილმი „მხიარული ისტორიები“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.55 — დოკუმენტური ფილმი — „სტარტზეა მილიონები“, 19.55 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — კონცერტი-დასვენება, 21.05 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი — „წმიდა იორგენის დღესასწაული“.

„დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პროსპ. № 2 ტელ. 5-21-62)
6 მაისს

ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობის გათამაშება
„ა“ კლასის გუნდებს შორის
„კაირატი“ (ალმა-ატა) — „დინამო“ (თბილისი)
ძირითადი შემადგენლობანი დასაწყისი საღამოს 18 საათზე.
ბილეთების წინასწარ გაყიდვა წარმოებს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში ამონიმენტებით 4 და 5 მაისს 12-დან 19 საათამდე, საერთო — 6 მაისს 10 საათიდან და 30 წუთიდან.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ეკიმი აიბოლიტი (დღისით), ლუჩია დი ლამერმური (საღამოს, მე-7 აბონ. მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი** დარბაზი — ზაფხულის ღამის სიზმარი (დღისით, მე-2 აბ